PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

სსიპ - კოლეჯი „აისის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(პროგრამის განხორციელების ადგილი: გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე

წევრი:

ქეთევან ბოტკოველი

{თბილისი, 2020}

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - კოლეჯი „აისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II. მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური

■ არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. საერთო მიმოხილვა

2020 წლის 21 მაისს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ განიხილა სსიპ - კოლეჯ „აისის“ მიერ სატყეო საქმის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (ნინო ხაჩიძე - ჯგუფის თავმჯდომარე; თამარ ახალაძე - ჯგუფის წევრი) დასკვნა და მიიღო გადაწყვეტილება სსიპ - კოლეჯი „აისისათვის“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში სატყეო საქმის საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებისა და მონიტორინგის დანიშვნის შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება მონიტორინგის დანიშვნის შესახებ, დაეფუძნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის 2.3 და 2.4 კომპონენტი იყო „მეტწილად შესაბამისობაში“. დაწესებულებას კომპონენტების სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, დაწესებულებისვე გადაწყვეტილებით განესაზღვრა ორთვიანი ვადა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 21 მაისის №397227 სხდომის ოქმის საფუძველზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 28 ივლისის N639619 ბრძანებით, შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი (ნინო ხაჩიძე - ჯგუფის თავმჯდომარე; ქეთავან ბოტკოველი - ჯგუფის წევრი), რომლებსაც დაგვევალა დოკუმენტაციის შესწავლის გზით, სსიპ - კოლეჯ "აისის" „სატყეო საქმის“ (პროგრამის განხორციელების ადგილი: გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი) საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის (ბ.გ) და (ბ.დ) კომპონენტების შესრულების შემოწმება.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ექსპერტთა ჯგუფისთვის მოწოდებულ იქნა დაწესებულების მიერ მონიტორინგის მიზნებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მიმდინარეობდა გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება. ასევე, სტანდარტის კომპონენტების სრულყოფილად შეფასების მიზნით, დაწესებულებიდან დამატებით გამოთხოვილ იქნა დოკუმენტები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მასალების შესწავლის შედეგად შემუშავდა დასკვნა. კოლეჯის მიერ გასწორებულია 2.3 და 2.4 კომპონენტებთან მიმართებით შეუსაბამობები და ამჟამად სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილება არ დაფიქსირებულა.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

სტანდარტთან მიმართებით ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

განვითარების რეკომენდაცია

1. დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარების ფორმები. კითხვარების ნაწილს ახლავს ინსტრუქცია. კითხვარები მოიცავს ღია და დახურულ კითხვებს. დახურული კითხვების შემთხვევაში ძირითადად გამოყენებულია რეიტინგული და რანჟირებული სკალა, თუმცა ზოგიერთ კითხვარში გაპარულია უმნიშვნელო ტექნიკური უზუსტობები. შესაბამისად, სასურველია კითხვარებში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები (იხ. 2.3.1.1 ინდიკატორი).

ანგარიშით ირკვევა, რომ „კვლევა განხორციელდა Google Drive-ის საშუალებით ინტერნეტ გამოკითხვით“, თუმცა Google Drive არის ე.წ. „ღრუბლოვანი საცავი“ და ის ვერ იქნებოდა გამოყენებული კვლევის მიზნებისთვის. დაწესებულების მიერ გამოყენებული იყო Google Forms. შესაბამისად, სასურველია კვლევის ანგარიშში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

განვითარების რეკომენდაცია

1. დირექტორის 2020 წლის 3 ივლისის N02-01-137 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი, რომელშიც გაწერილია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არის „25 საათზე მეტი და 40 საათზე ნაკლები (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც)“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არის ძირითადად 25 საათი, ხოლო ქართული ენის მოდულების გავლის შემთხვევაში ზოგჯერ 40 საათიც. შესაბამისად, სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში ფორმულირება შეიცვალოს იმგვარად, რომ მოერგოს შემუშავებულ სასწავლო გეგმებს.

განმავითარებელი რეკომენდაციები:

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია არაფორმალური განათლების აღიარების პირობები. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ 2019 წლის 6 სექტემბერს დამტკიცდა არაფორმალური განათლების აღიარების წესი და განისაზღვრა, რომ დაწესებულებებს შეუძლიათ მოიპოვონ არაფორმალური განათლების აღიარების უფლება მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების აღიარებისთვის, რომლის განხორციელების უფლებაც მას კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს მოპოვებული, ხოლო დაწესებულებას არაფორმალური განათლების აღიარების უფლება არ აქვს მოპოვებული, მიზანშეწონილია აღნიშნული წესი არ იყოს გაწერილი დაწესებულების რეგულაციაში.

დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში აქვს შემდეგი ჩანაწერი:

- „გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტი - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტი, რომელმაც დაძლია მოდული ,,ქართული ენა A2“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- „პროფესიული სტუდენტის მიერ ,,ქართული ენა A2” მოდულის სწავლის შედეგების დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი“.

გამომდინარე იქიდან, რომ მეოთხე და მეხუთე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ასევე გაიროს მოდული „ქართული ენა B1”, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ ერთი მოდულის სწავლის შედეგების ვერ დადასტურება, რომელიც არის წინაპირობა პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების, რომელთა საკონტაქტო საათების ჯამი შეადგენს სრული პროგრამის ერთ მესამედს“. გამომდინარე იქიდან, რომ მინიმუმ ერთი მოდულის საკონტაქტო საათები, ვერ იქნება პროგრამის ერთი მესამედი, სასურველია აღნიშნული ჩანაწერი არ ახდენდეს მოდულთა რაოდენობის კონკრეტიზაციას და იყოს ზოგადი და ამავე დროს უფრო მეტად ზუსტი ინფორმაციის მატარებელი, რადგან იკვეთებოდეს, რა შემთხვევაში შეუწყდება პროფესიულ სტუდენტს სტატუსი.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ასევე ირკვევა, რომ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50 %-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში კოლეჯის მიერ პარტნიორ ორგანიზაციასთან შეთანხმებით, აპლიკანტი ვალდებულია გაიაროს კოლეჯის მიერ დადგენილი კონკურსი და მონაწილეობა მიიღოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ ტესტირებაში. აპლიკანტის ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ კონკურსის შედეგების გათვალისწინებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით ირკვევა, რომ აპლიკანტებმა, რომლებსაც სურთ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, უნდა გაიარონ კონკურსი შესაბამისი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით. აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ კონკურსის შედეგების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, პროფესიულ სტუდენტს არ უწევს პროფესიულ ტესტირებაზე გასვლა. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული ზუსტად აისახოს დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სატყეო საქმე
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში / Secondary VocationalQualification in Forestry
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 14 აგვისტოს N 02-01-220 ბრძანებით შევიდა ცვლილება დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N 02-01-54 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი კაჭრეთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი კაჭრეთი - 30 სტუდენტი (მოდულური)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი კაჭრეთი - 30 სტუდენტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	101 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	48 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	131 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	78 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას და სხვა. სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2020 წლის 03 ივლისის N02-01-139 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ კოლეჯის „აისის“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-185 ბრძანება „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ“. ახლად შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა განხორციელდება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, ტრენინგ - კურსების (მოკლევადიანი პროგრამა), სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსების, დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების გზით და დაეფუძნება დემინგის ციკლის მოდელს, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პროგრამების განვითარების მიზნებისათვის სტუდენტების/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მსმენელების, პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, კურდამთავრებულების, პარტნიორი კომპანიების გამოკითხვას შესაბამისი კითხვარების გამოყენებით, ასევე დაინტერესებული მხარეების (შიდა, გარე) გამოკითხვების ჩატარებას რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდებით. დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარების ფორმები. კითხვარების ნაწილს ახლავს ინსტრუქცია. კითხვარები მოიცავს ღია და დახურულ კითხვებს. დახურული კითხვების შემთხვევაში ძირითადად გამოყენებულია რეიტინგული (ნუმერიკული, დასათაურებული) და რანჟირებული სკალა, თუმცა ზოგიერთ კითხვარში გაპარულია უმნიშვნელო ტექნიკური უზუსტობა. მაგალითად, პედაგოგიური პერსონალის მიერ დაწესებულებების შეფასების კითხვარში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „გთხოვთ, ქვემოთ მოყვანილი თითოეული დებულება შეაფასოთ 10-ქულიანი შკალით, სადაც 1 არის მინიმალური ქულა ხოლო 10 არის მაქსიმალური ქულა“. კითხვის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლო პასუხებად მოცემულია „დიახ“ და „არა“. შესაბამისად, სასურველია კითხვარებში გასწორდეს უმნიშვნელო ტექნიკური უზუსტობები.

დაწესებულებაში დაგეგმილია გამოკითხვების ანალიზის შედეგების შეჯამების შედეგების გათვალისწინებით პრობლემების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის გზების - განვითარების გეგმების/სათანადო რეკომენდაციების შემუშავება. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით ირკვევა, რომ განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის პროგრამების, ტრენინგ - კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება, დაკვირვება და ანალიზი.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2019 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ანალიზი, რომლის თანახმად კვლევა დაიწყო 2019 წლის 10 დეკემბერს და მიმდინარეობდა 2020 წლის 10 თებერვლამდე. კვლევის პირველ ეტაპზე მომზადდა სამიზნე ჯგუფების სია და შესაბამისი კითხვარი. ინტერვიუ შედგებოდა დახურული და ღია კითხვებისაგან. კვლევის მიზანს წარმოადგენდა დასაქმების მაჩვენებლის დადგენა, კურსდამთავრებულთა დამოკიდებულების შესწავლა პროფესიული განათლების მიმართ და მათი მოლოდინების გამართლების შესახებ ინფორმაციის მოძიება არჩეულ პროფესიებთან მიმართებით. კვლევის თანახმად ირკვევა, რომ კოლეჯ „აისისა“ და მისი ფილიალების კურსდამთავრებულებიდან 75% დასაქმებულია, 8% კვლავ აგრძელებს სწავლას სკოლაში, პროფესიულ კოლეჯში ან უმაღლეს სასწავლებელში სხვა პროფესიის მიღების ან კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ხოლო 17% არის უმუშევარი. დასაქმებულთა 58% მუშაობს პროფესიით, თვითდასაქმებულია 26%, ხოლო არასპეციალობით მუშაობს 16%. რესპოდენტთა უმრავლესობას პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მიმართ ჰქონდა დადებითი შეხედულება და კოლეჯ „აისში“ სწავლის შემდეგ მათი ეს მოლოდინები გამართლდა, რადგან მათი აზრით, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პროფესიისთვის საჭირო რესურსები იძლევა ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში. კვლევა ჩატარდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისა და ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავების და დანერგვის მიზნით, ქალაქ თბილისსა და კახეთის რეგიონის 8 მუნიციპალიტეტში (საგარეჯო, გურჯაანი, თელავი, სიღნაღი, ლაგოდეხი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყვარელი). სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდა კერძო სექტორის, საზოგადოებისა და კახეთის რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. კვლევა განხორციელდა სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის ორგანიზებით და კოლეჯ „აისის“ თანამშრომლების გარკვეული ჯგუფის აქტიური მხარდაჭერით. კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო ინტერნეტ და სატელეფონო გამოკითხვები, რათა მეტ-ნაკლებად გაკონტროლებულიყო რესპოდენტების შესაბამისობა და ინტერნეტ გამოკითხვა ყოფილიყო გაცილებით უფრო სანდო. კვლევა მიმდინარეობდა 2020 წლის 16 მარტიდან 30 აპრილის პერიოდში. საბოლოოდ, კვლევის მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 420 რესპოდენტი. კერძოდ:

- კერძო სექტორის წარმომადგენლები - 162 რესპოდენტი;
- საზოგადოების წარმომადგენლები - 224 რესპოდენტი;
- თვითმმართველობის წარმომადგენლები - 34 რესპოდენტი.

კვლევამ აჩვენა, რომ კახეთის რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობისა და კერძო სექტორის წარმომადგენელთა მხრიდან, პერსპექტიულ მიმართულებად სახელდება აგრარული სფერო და მასში შემავალი სპეციალობები. საზოგადოების მხრიდან ყველაზე მოთხოვნად პროფესიებად სახელდება კულინარიის ხელოვნება, ინფორმაციის ტექნოლოგია, საექთნო საქმე, ფარმაცია და მეღვინეობა.
ანგარიშით ირკვევა, რომ „კვლევა განხორციელდა Google Drive-ის საშუალებით ინტერნეტ გამოკითხვით“, თუმცა Google Drive არის ე.წ. „ღრუბლოვანი საცავი“ და ის ვერ იქნებოდა გამოყენებული კვლევის მიზნებისთვის. დაწესებულების მიერ გამოყენებული იყო Google Forms. შესაბამისად, სასურველია კვლევის ანგარიშში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

2. სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 3 ივლისის N02-01-137 ბრძანებით, პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საწარმოო დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, ან სხვა დაინტერესებულ ნებისმიერ პირს. ცვლილების ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნეს წარდგენილი წერილობითი სახით. პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს:
ა) პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით;
ბ) უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში;
გ) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
დ) პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს;
ე) ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება სამართლებრივი აქტის ამოქმედების ვადა და სასწავლო ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ვერ გავრცელდება აღნიშნული ცვლილება. ცვლილების შემთხვევაში კორექტირებული მასალა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით. პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ, ინფორმაციის გავრცელებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე პასუხისმგებელია პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ საჭიროებისამებრ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებაზე და პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიზნით, ინიცირებით მიმართვაზე.

გამომდინარე აქიდან, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშით;
- კურსდამრთავრებულთა კვლევის ანგარიშით;
- კითხვარის ფორმებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმებით მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები.
დირექტორის 2020 წლის 3 ივლისის N02-01-137 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი, რომელშიც გაწერილია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არის „25 საათზე მეტი და 40 საათზე ნაკლები (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც)“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არის ძირითადად 25 საათი, ხოლო ქართული ენის მოდულების გავლის დროს ზოგჯერ 40 საათიც. შესაბამისად, სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში ფორმულირება გასწორდეს იმგვარად, რომ მოერგოს შემუშავებულ სასწავლო გეგმას.

2. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ცვლაში ან მეცადინეობათა შეჭრილი გრაფიკით. სასწავლო კვირა განისაზღვრება 5 კალენდარული დღით (შაბათი და კვირა – დასვენება). საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე, შაბათი და კვირა, როგორც სასწავლო დღე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მოდულები ითვალისწინებს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ინტეგრირებული მოდულებით განსაზღვრულ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს, რაც ვალიდურს ხდის სასწავლო პროცესს თანამედროვე მოთხოვნებთან.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ების მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის საჭიროებების და სხვათა შესახებ ინფორმაციას დირექციას წერილობით აცნობებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი/ები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ივსება (გაცდენები, შეფასებები, დახასიათება და ა.შ.).
შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამისათვის სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. შესაბამისად, დაწესებულების მიერ ინდივიდუალურ საჭიროებად ასევე განიხილება აღნიშნული შემთხვევაც, როდესაც სტუდენტის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება.

5. პროგრამის ინტეგრირებული მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე და არ საჭიროებს პარტნიორ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას.

6. სასწავლო პროცესი უსაფრთხო სასწავლო გარემოში წარიმართება. ინტეგრირებული მოდულები რაიმე სპეციფიურ მოთხოვნებს არ ითვალისწინებს. დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-190 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,აისი“ უსაფრთხოების წესები, ხოლო N02-01-191 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯში ,,აისი“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებული სასწავლო გეგმებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- სსიპ კოლეჯის ,,აისი“ უსაფრთხოების წესებით;
- სსიპ კოლეჯში ,,აისი“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც ორგანიზებულია სასწავლო პროცესი. რეგულაციით გაწერილია შეფასებისა და გასაჩივრების წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
აღნიშნული რეგულაცია ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის პირობები. ასევე, განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს, რა ვადებში ხდება შეფასება და უწყისში ასახვა. კერძოდ, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემით გათვალისწინებულია შემდეგი: სწავლის შედეგის შეფასების მიზნით, შესაბამის შეფასების ინსტრუმეტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულზე სწავლის დაწყებამდე არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე. შეფასების ინსტრუმენტით შეიძლება შეფასდეს ერთი ან რამდენიმე სწავლის შედეგი. შეფასების ინსტრუმეტი, შეთანხმების მიზნით ხელმოსაწერად გადაეცემა სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს/ებს შედეგის შეფასების ჩატარებამდე სულ ცოტა 3 დღით ადრე. არასრულყოფილი სტრუქტურის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესასწორებლად უბრუნდება ინსტრუმენტის შემმუშავებელს. ინსრუმენტი უნდა შესწორედეს ერთი დღის ვადაში. შეფასების სქემას სტუდენტს აცნობს მოდულის განმახორციელებელი პირი მოდულის განხორციელების პირველივე დღეს, ხოლო შეფასების თარიღს და დროს - შეფასების ჩატარებამდე 5 დღით ადრე.

სწავლის შედეგის დადასტურება/ვერ დადასტურების შესახებ გადაწყვეტილებას მოდულის განმახორციელებელი პირი იმავე დღეს ასახავს შეფასების უწყისის ფორმაში და ერთი დღის ვადაში აცნობს სტუდენტს. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტის შეფასება ხდება პირველადისაგან შეცვლილი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით, რომელიც თანხმდება სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან/ებთან შეფასებამდე სულ მცირე 3 დღით ადრე. განმსაზღვრელი შეფასებისას, სტუდენტის გამოუცხადებლობის ან შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ეძლევა ერთჯერადად დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა დაუდასტურებელი მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს 7 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დამატებითი შეფასების შედეგად სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მასწავლებლის მიერ შესაბამისი უწყისის შევსებისთანავე. სტუდენტის მიერ შეფასების შედეგის გასაჩივრების უფლება წარმოეშობა შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს. სტუდენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით, განცხადებით მიმართავს დირექტორს, რომელიც იმავე დღეს ქმნის სპეციალურ კომისიას, ხოლო კომისია იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილების წარმოშობიდან არაუგვიანეს 2 კალენდარულ დღეში, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით. პროფესიულ სტუდენტს კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება გადაწყვეტილების მიღებისთანავე. განცხადების განხილვის შედეგად, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მიღებული შედეგი აისახება შესაბამის შეფასების დამატებით უწყისში.

გამომდინარე აქიდან, დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

2. შეფასების სისტემის გამართული მუშაობისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N02-01-53 ბრძანებით. მისი მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად მოცემული ვითარების შესწავლა, მონაცემების შეგროვება, ანალიზი, საჭიროებების განსაზღვრა, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩარევების განხორციელება. რეგულაციით გაწერილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ჯგუფის და ჯგუფის ხელმძღვანელის ფუნქციები, ვერიფიკაციის ეტაპები და სხვა. ვერიფიკაციის მეთოდოლოგია ძირითადად დაფუძნებულია უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციაზე. შიდა შემოწმებისას (ვერიფიკაციისას) არ განიხილება ყველა სტუდენტის მტკიცებულებები, თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნიმუშების შერჩევა იმისათვის, რომ თითოეული მოდულის ფარგლებში დადგინდეს, თუ რამდენად თანამიმდევრულ შეფასებას აკეთებენ მასწავლებლები და რამდენად იცავენ ისინი სტანდარტებს. არ მოწმდება ყველა სტუდენტის ნამუშევრი, მაგრამ თუ შიდა შემმოწმებელმა (ვერიფიკატორმა) შეფასების პროცესში დააფიქსირა გარკვეული შეუსაბამობა ან/და ხარვეზი სტანდარტთან მიმართებით, შესაძლებელია, ვერიფიკაციისთვის გაიზარდოს შერჩევის მოცულობა. დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით ირკვევა, რომ შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) პროცესის ყოველი ეტაპი იქნება დოკუმენტირებული, გაკეთდება ჩანაწერები, რომლის ასლები დაცული იქნება კოლეჯში და საჭიროებისამებრ ხელმისაწვდომი აუდიტისა და გარე ვერიფიკატორებისთვის.
დაწესებულების მიერ 2020 წლის 29 ივლისის N02-01-169 ბრძანებით დამტკიცებულია შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) ჯგუფის შემადგენლობა. ჯგუფის ხელმძღვანელად დანიშნულია დირექტორის მოადგილე სასწავლო-საწარმოო დარგში. ჯგუფს დავალებული აქვს ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერიფიკაციის ჩატარება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შესაბამისი მოხსენების წარდგენა არაუგვიანეს 2020 წლის 21 აგვისტოსი. შესაბამისად, დაწესებულების მიერ დაწყებულია ვერიფიკაციის პროცესი.

3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა/ინახება სასწავლებელში სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან/ებთან, მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით. აღნიშნული პროდუქტი შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების" შესაბამისად. დოკუმენტები, რომლებიც გამოირჩევა შესრულების ხარისხით და შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასწავლო ან სხვა მიზნებისათვის, შესაძლოა ინახებოდეს ბიბლიოთეკაში. სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება უვადოდ კოლეჯში დირექტორის მოადგილესთან სასწავლო და საწარმოო დარგში. დაწესებულების მიერ შემუშავებულია სწავლის შედეგების დადასტურების უწყისის ფორმა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით უწყისების სათანადო შენახვასა და რეგისტრაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი/ები.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიით დაწესებულება განახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს, ხოლო მიღებულ შედეგებს გამოიყენებს პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის, რადგან ვერიფიკაციის ბოლო ეტაპი მიზნად ისახავს შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე ყველა ხარვეზის კვალიფიკაციის მომდევნო შეფასებისთვის გამოსწორებას, რომელიც შიდა შემმოწმებლის (ვერიფიკატორის) მიერ იქნება გამოვლენილი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიით;
- შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) ჯგუფის შექმნისა და ვერიფიკაციის ჩატარების შესახებ ბრძანებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯი „აისი“ სწავლის შედეგების დადასტურების უწყისით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

IX. თანდართული დოკუმენტაცია

18.08.2020

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: